ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი # 12

ქ. ონი 22. 12. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გივი მეტრეველი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე, ლევან ორდინიძე, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი, ბიჭიკო კერვალიშვილი, რევაზ საბანაძე, მერაბ ბიჭაშვილი, როსტომ ლობჯანიძე, ნინო გობეჯიშვილი, თორნიკე მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ბიძინა ყიფიანი, ნოდარ ბურდილაძე, ნონა მაისურაძე, შალვა კახეთელიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ეკა მაისურაძე, თეიმურაზ ცეცაძე, გელა მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ: გიორგი მეშვილდიშვილი, ფრიდონ გოგრიჭიანი, შუქურა ჯაფარიძე, მადლენა მეტრეველი, ანა ბაქრაძე, თამაზ მეტრეველი, ზურაბ ბენდიანიშვილი, თამილა არჩვაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერი სერგო ხიდეშელი, მერის პირველი მოადგილე გიორგი ნოდარიშვილი, მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, დეპუტატის გოჩა ენუქიძის ბიუროს წარმომადგენელი ონის მუნიციპალიტეტში ირმა ჩიხრაძე, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი ანა გოშაძე,

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი
თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი
თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

3. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი
თანამომხსენებელი: ანა გოშაძე - მერიის ადმ. სამს. რესურსების მართვისა და საინფ. განყ. უფროსი სპეციალისტი/

4.,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

5. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე/

7. ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი
თანამომხსენებელოი-თეიმურაზ გრძელიშვილი-მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

8. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

9. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

10. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

11. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

12. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაცია სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი
თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ვასილ მეტრეველმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი განხილული იქნა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომაზე, სხდომებზე გამოთქმული შენიშვნები გადაეგზავნა მერიას, რომელთაგან გარკვეული ნაწილი გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროექტში, ნაწილი შესაძლებლობის ფარგლებში იქნება ასახული წლის მანძილზე.

სერგო ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი განხილული იქნა როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, ასევე ყველა კომისიის სხდომებზე, გამოთქმული შენიშვნების დიდი ნაწილი ასახულია წარმოდგენილ პროექტში, ნაწილი გათვალისწინებული იქნება მიმდინარე წლის განმავლობაში, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი ასახავს მოსახლეობის ინტერესებს და პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელიც დგას მუნიციპალიტეტის წინაშე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე 23, წინააღმდეგი არცერთი

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ფრაქცია ,,ონი საქართველოსთვის“ წევრებმა.

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი
თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 3. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი
თანამომხსენებელი: ანა გოშაძე - მერიის ადმ. სამს. რესურსების მართვისა და საინფ. განყ. უფროსი სპეციალისტი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი ერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 4.,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი-,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 5. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ალავერდ ხვედელიანმა, კანონის შესაბამისად, საკრებულოს სიითი შემადგენლობის 1/5-ის სახელით წარადგინა საკრებულოს წევრის, მამუკა ყავლაშვილის კანდიდატურა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 25 წევრმა

მომხრე-25, წინააღმდეგი-0

გამოუყენებელი -8 ბიულეტენი

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა მამუკა ყავლაშვილი.

მოისმინეს: 7. ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი
თანამომხსენებელოი-თეიმურაზ გრძელიშვილი-მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბიძიშვილმა ისაუბრა პროექტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი არის სოფ. გლოლისა და გლოლის მოსახლეობის საზიანო დოკუმენტი, რომლის დამტკიცების შემთხვევაში ემუქრება დაცლა ისედაც მიგრირებულ საზღვრისპირა სოფელს. აღნიშნულ პროექტში არ არის გათვალისწინებული არცერთი გლოლის მაცხოვრებლის ინტერესი, პროექტი მთლიანად მორგებული და გათვლილია კონკრეტულ მსხვილ მოთამაშეებზე და ასახავს მათ ინტერესებს. არცერთი გლოლის მაცხოვრებლის კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი არ არის იმ ზონაში, სადაც შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის გაცემა, ასევე, არ არის იმ ვარდისფერ ზონაში, რომელზეც ნებადართულია გადაწყვეტილების ცვლილება მესაკუთრის სასარგებლოდ. ესაა არასამართლიანი დოკუმენტი, რომელიც პერსპექტივის და განვითარების იმედს უკლავს გლოლის მოსახლეობას და რომლის დამტკიცების შემთხვევაშიც განადგურდება საქართველოს ეს უნიკალური კურორტი, რადგან აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს 1000 კვ. მ.-ზე 18 მ. სიმაღლის შენობების მშენებლობას, მივიღებთ შოვს ბეტონის შენობებით. შემდეგ გ. ბიძიშვილმა მიმართა საკრებულოს წევრებს - თუ მათ არ სურთ კურორტ შოვისა და სოფ. გლოლის განადგურება, დაცლა და მიგრაცია არ დაუჭირონ მხარი წარმოდგენილ დოკუმენტს.

სოფ. გლოლის მაცხოვრებლებმა: გელა გუტაშვილმა, ზურაბ ბიჭაშვილმა, გიორგი ბუბაშვილმა მიმართეს საკრებულოს წევრებს სოფ. გლოლის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე არ დაუჭირონ მხარი წარმოდგენილი გეგმის პროექტს.

თ. გრძელიშვილმა განმარტა, რომ ეს არ არის საბოლოო დოკუმენტი, შესაძლებელია მასში შევიდეს ცვლილებები. რაც შეეხება მშენებლობის ნებართვის გაცემას, ის ხდება განაშენიანების დეტალური გეგმის საფუძველზე.

ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ სწორედ კურორტ შოვის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია მიღებული იქნას დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს მის განვითარებას და დადებითად აისახება არა მხოლოდ შოვისა და გლოლის, არამედ მუნიციპალიტეტის მომავალ განვითარებაზეც. რაც შეეხება ცვლილებების შეტანას, კანონის შესაბამისად, საკრებულოს შეუძლია განაშენიანების დეტალურ გეგმაში მიწის ნაკვეთის მესაკუთრის დასაბუთებული, არგუმენტირებული მომართვის საფუძველზე ცვლილების შეტანა მესაკუთრის სასარგებლოდ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე 25 წევრიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22 წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ფრაქცია-,,ონი-საქართველოსთვის“ ორმა წევრმა და ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ერთმა წევრმა

მომხრე -17 , წინააღმდეგი -5

გადაწყდა: დამტკიცდა ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

მოისმინეს: 8. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 9. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 10. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 11. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 12. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაცია სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

ამონაწერი

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის #12 ოქმიდან

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გივი მეტრეველი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე, ლევან ორდინიძე, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი, ბიჭიკო კერვალიშვილი, რევაზ საბანაძე, მერაბ ბიჭაშვილი, როსტომ ლობჯანიძე, ნინო გობეჯიშვილი, თორნიკე მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ბიძინა ყიფიანი, ნოდარ ბურდილაძე, ნონა მაისურაძე, შალვა კახეთელიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ეკა მაისურაძე, თეიმურაზ ცეცაძე, გელა მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ: გიორგი მეშვილდიშვილი, ფრიდონ გოგრიჭიანი, შუქურა ჯაფარიძე, მადლენა მეტრეველი, ანა ბაქრაძე, თამაზ მეტრეველი, ზურაბ ბენდიანიშვილი, თამილა არჩვაძე.

მოისმინეს: 7. ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი-თეიმურაზ გრძელიშვილი-მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

თანამომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბიძიშვილმა ისაუბრა პროექტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი არის სოფ. გლოლისა და გლოლის მოსახლეობის საზიანო დოკუმენტი, რომლის დამტკიცების შემთხვევაში ემუქრება დაცლა ისედაც მიგრირებულ საზღვრისპირა სოფელს. აღნიშნულ პროექტში არ არის გათვალისწინებული არცერთი გლოლის მაცხოვრებლის ინტერესი, პროექტი მთლიანად მორგებული და გათვლილია კონკრეტულ მსხვილ მოთამაშეებზე და ასახავს მათ ინტერესებს. არცერთი გლოლის მაცხოვრებლის კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი არ არის იმ ზონაში, სადაც შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის გაცემა, ასევე, არ არის იმ ვარდისფერ ზონაში, რომელზეც ნებადართულია გადაწყვეტილების ცვლილება მესაკუთრის სასარგებლოდ. ესაა არასამართლიანი დოკუმენტი, რომელიც პერსპექტივის და განვითარების იმედს უკლავს გლოლის მოსახლეობას და რომლის დამტკიცების შემთხვევაშიც განადგურდება საქართველოს ეს უნიკალური კურორტი, რადგან აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს 1000 კვ. მ.-ზე 18 მ. სიმაღლის შენობების მშენებლობას, მივიღებთ შოვს ბეტონის შენობებით. შემდეგ გ. ბიძიშვილმა მიმართა საკრებულოს წევრებს - თუ მათ არ სურთ კურორტ შოვისა და სოფ. გლოლის განადგურება, დაცლა და მიგრაცია არ დაუჭირონ მხარი წარმოდგენილ დოკუმენტს.

სოფ. გლოლის მაცხოვრებლებმა: გელა გუტაშვილმა, ზურაბ ბიჭაშვილმა, გიორგი ბუბაშვილმა მიმართეს საკრებულოს წევრებს სოფ. გლოლის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე არ დაუჭირონ მხარი წარმოდგენილი გეგმის პროექტს.

ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ სწორედ კურორტ შოვის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია მიღებული იქნას დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს მის განვითარებას და დადებითად აისახება არა მხოლოდ შოვისა და გლოლის, არამედ მუნიციპალიტეტის მომავალ განვითარებაზეც. რაც შეეხება ცვლილებების შეტანას, კანონის შესაბამისად, საკრებულოს შეუძლია განაშენიანების დეტალურ გეგმაში მიწის ნაკვეთის მესაკუთრის დასაბუთებული, არგუმენტირებული მომართვის საფუძველზე ცვლილების შეტანა მესაკუთრის სასარგებლოდ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე -18 , წინააღმდეგი -5

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ფრაქცია ,,ონი-საქართველოსთვის“ წევრებმა

გადაწყდა: დამტკიცდა ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე